საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 7 23 0001489375

03/11/2023

„პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 25 სექტემბრის №885/ი ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2023 წლის 25 ოქტომბრის №1438029 და 2023 წლის 31 ოქტომბრის №1472511 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2019 წლის 25 სექტემბრის №885/ი ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის" მე-3 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის დამატებითი უფლების მოპოვების გარეშე განხორციელების პირობების შესრულების მონიტორინგის ფარგლებში, ექსპერტზე სრულად გაიცემა ანაზღაურება მისი მოვალეობის ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ცენტრში ექსპერტის მიერ საბოლოო სახით ჩამოყალიბებული შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე.";

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ექსპერტის სამივლინებო ხარჯები ანაზღაურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.".

2. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება.
3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ